სახალხო განათლება+

„ქვეყანად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 4 (4525) • 24 თებერვალი • 2016 წელი • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი

დედის დღეს – 3 მარტს გილოცავთ, განათლების მუშაკებო!

ნომრის სტუმარია თბილისის 139-ე საჯარო სკოლა

მაღალი შედეგებისთვის ნიჭსა და უნარს არ იშურებენ

მუდამ მიმიხარია ამ სკოლაში, რადგანაც აქ ათი წელი პედაგოგად ვიმუშავე. ამჯერადაც ასე იყო. გულთბილად მიმიღო ახალმა დირექტორმა, თავად გამოცდილმა და სანიმუშო პედაგოგმა **ნათია ფხალაძემ**. იგი სულ ახალი მოსულია, მაგრამ უკვე შეეთვისა პედკოლექტივს – გამოცდილების კვალობაზე თავისი სასიკეთო ხელწერა დაატყო სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს. სკოლის ხელმძღვანელი, რუსული ენის ჩინებული სპეციალისტია. მუშაობდა თბილისის მე-7 საჯარო სკოლაში, სახელოვანი პედაგოგისა და დირექტორის, **აკაკი კივილაძის** მე-8 სკოლაში, ვისი სახელიც ცოდნის ამ ტაძარს სულ ახლახან მიენიჭა. **ნათია ფხალაძე** გახლავთ სერთიფიცირებული დირექტორი და სერთიფიცირებული მასწავლებელი.

ძველი კოლეგებიდან თითქმის არავინ დამხვდა, მაგრამ ძალიან მახარებს, რომ აქ ჩემი აღზრდილები ეწევიან პედაგოგიურ მოღვაწეობას. მაგალითად, **დარეჯან ლაბარტყავა** ქართული ენა-ლიტერატურის ჩინებული მასწავლებელია.

აქ ძლიერი პედაგოგები მოღვაწეობენ, აქ ყველა მაღალ შედეგებზე არის ორიენტირებული. სკოლის ხალისიან მაჯისცემას დირექტორთან საუბრიდან შეიტყობთ, ძვირფასო მკითხველო.

* * *

„კადრები წყვეტენ ყველაფერსო“, – უთქვამს ბრძენკაცს. ამ მხრივ 139-ე საჯარო სკოლა ძლიერია, არაფრით ჩამოუვარდება დედაქალაქის ე. წ. „პრესტიჟულ” სკოლებს. დირექტორზე მოკლედ ზემოთ ითქვა.

მისი მოადგილე სასწავლო ნაწილში – **ირმა ჯაჯანიძე**, ქიმიის პედაგოგი, მეტად გამოცდილი გახლავთ. ხარისხის მართვის მენეჯერ **– თინათინ კვესიტაძეზე** (დაწყებითის პედაგოგი) იგივე ითქმის. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეა – **მარიკა ამილახვარი**, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე კი – ნიჭიერი მეთორმეტეკლასელი **გიორგი გახოკიძე**.

17 მასწავლებელი სერთიფიცირებულია. ერთს აქვს მეცნიერების დოქტორის ხარისხი, იგი **მზია კეჟერაშვილი**ა, ქიმიის პედაგოგი. ყველა პედაგოგი ჩართულია ახალ სქემაში.

სკოლაში არის 7 საგნობრივი კათედრა: ქართული ენა-ლიტერატურისა – ხელმძღვანელი **მარიკა ამილახვარი**, მათემატიკისა – **ია გელაშვილი**, საბუნებისმეტყველოსი – **მზია კეჟერაშვილი**, საზმეცნიერებების – **ნინო დალაქიშვილი**, უცხოური ენებისა – **ქეთევან აბრამიშვილი**, ესთეტიკისა – **ნინო სალუქვაძე** და დაწყებითი კლასებისა – **ნინო გაბუნიძე**. ყველა უნარიანად უძღვება თავის საქმეს.

სკოლა ახალ სასწავლო წელს მომზადებული შეხვდა. საკუთარი სახსრებით შეკეთდა გარე და შიდა ელექტროგაყვანილობა, გარემონტდა ფსიქოლოგის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, 1 საკლასო ოთახი, დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები, შეიძინეს წიგნები ბიბლიოთეკისათვის.

სკოლაში ფუნქციონირება დაიწო გახანგძლივებულმა ჯგუფმა. კარგად მუშაობს ფსიქოლოგი – **კატო თაბაგარი**, რომელიც გამოირჩევა თავისი პროფესიონალიზმით. გამოცდილი ექიმი – **ლალი ნუცუბიძე** მოსწავლეთა ჯანმრთელობის სამსახურშია.

სკოლა ჩართულია რამდენიმე პროექტში – ჭადრაკის სპეციალური ელექტრონული პროგრამა, GG-Pried-, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამაში.

პოპულარულია პედაგოგ **ნანული ბერიძის** მუსიკალური სტუდია, ქორეოგრაფიულ სტუდია „შავლეგოს“ ხელმძღვანელობს **დავით ბოხუა**, ფანდურის წრეს და ჭიდაობისას – **ალუდა ხუნჯუა**.

2015 წლიდან მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ სხვადასხვა ინტელექტუალურ, საგანმანათლებლო და შემოქმედებით აქტივობებში. კერძოდ, მოსწავლეთა ჯგუფი ხშირად ესწრება სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების, ასევე კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გამართულ ლექციებს, **„მასტერკლასებს**“. მოსწავლეთა აზრით, ეს გარკვეული სახის დებატები, გაცნობითი პროგრამები და სხვა საინტერესო ჩართულობა მათ დაეხმარებათ პროფესიის არჩევაში, კარიერის აწყობასა და დაგეგმვაში. ისინი ესწრებიან ლექციებს დედაუნივერსიტეტში თემაზე: **„ანტიკური თეატრი“, „ვიზუალური ხელოვნების საფუძვლები: მხატვრობა, „თამარ მეფე“, „არქეოლოგია თანამედროვე მეცნიერების სისტემაში“**, ლექციური კურსი. **„ჯაყოს ხიზნების“ ახლებური ინტერპრეტაცია“, „ნორჩ ასტრონომთა სკოლა“, „ნორჩ ეკონომისტთა სკოლა“** – ლექციის თემაა მაკრო და მიკრო ეკონომიკა და სოციოლოგია. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში IBSU: მოსწავლეები წარმოდგენილი იყვნენ ელჩის რანგში, ამბასადორიალი. ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბი ამბასადორიალზე. პოსტსაბჭოთა კომიტეტი. ერთ-ერთი დელეგატი იყო – **ნინო გოჩაშვილი, მარია ჯავაშვილმა** კი ამბასადორიალზე წარმოადგინა ქვეყანა **ესტონეთი**. სპიკერები 15 წუთიანი პრეზენტაციებით წარსდგნენ პუბლიკის წინაშე და ისაუბრეს მრავალ საინტერესო თემაზე. თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტებში: გაცნობითი პროგრამები. ლექციური კურსი მოიცავდა სხვადასხვა გაცნობითი ხასიათის, სწავლისა და სწავლების ამოცანებსა და მიზნებს.

სკოლაში ამასწინათ პირველად ჩატარდა თვითთმმართველობის დღეები. მოსწავლეებმა ერთ დღეს ჩაატარეს გაკვეთილები, ბოლოს კი პედაგოგიური საბჭოს სხდომა, სადაც შეაჯამეს განვლილი საქმიანობა. ეს ღონისძიება პროფესიული ორიენტაციის მიზანს ემსახურება.

დაგეგმილია საქველმოქმედო აქცია. გამოცხადებულია კონკურსი: **„სკოლის საუკეთესო ლოგო“**, თებერვლის ბოლოდან დაიწყება აქციები მოხუცთა დასახმარებლად: **„არა ხართ დავიწყებულნი!“**

სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში მოეწყო ჩვენი ბავშვების ნამუშევრების გამოფენა. ყველას ჰქონდა შესაძლებლობა, წარედგინა თავისი შემოქმედება.

სკოლაში ფუნქციონირებს წიგნის მოყვარულთა კლუბი. ჩვენი მოსწავლეები კითხულობენ წიგნებს და განიხილავენ მას. ამ საქმეს უნარიანად უძღვება გამოცდილი ბიბლიოთეკარი **ეთო ზურაბიშვილი**.

ისტორიის პედაგოგის – **აზა ლეჟავას** ხელმძღვანელობით ჩატარდა ღონისძიება **„შორეულ წინაპართა ნაკვალევზე“**, მოწვეული ჰყავდათ პროფესორები: **როინ მეტრეველი** და **ვახტანგ გურული**.

კიდევ ბევრი კარგი დაგვრჩა სათქმელი. შემდეგისთვის იყოს!

„აჰა, დიდების და სახელთქების ასპარეზია თქვენთვის დაცლილი“, 139-ე სკოლელებო!

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი

გულთბილი მილოცვა

ღვთიური მადლი დედაშვილობისა

იყო დედა უფლის წყალობაა, იყო სანიმუშო დედა – ეს უკვე გმირობაა. **3 მარტი დედის დღეა**. გაზაფხულის ამ ულამაზეს დღესასწაულს განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით მივულოცავთ წარმატებულ ქალბატონს, უპირველეს ყოვლისა, დედას, სამი არაჩვეულებრივი შვილისა, ჩინებულ პედაგოგსა და თბილისის 49-ე საჯარო სკოლის ინიციატივიან, შემოქმედ დირექტორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ქალბატონ **ეკატერინე ცაავას**.

მუდამ ხალისიანი, სამართლიანი, თბილი და მზრუნველი, სხვათა დარდის გამზიარებელი ქალბატონია იგი, რომელიც ძალისხმევას არ იშურებს, რომ სასწავლო პროცესი წარმართოს სკოლაში პედაგოგიური კოლექტივისა და სკოლის აღსაზრდელების საკეთილდღეოდ. თავად ენერგიულად უძღვება საგაკვეთილო პროცესს კლასში და თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებით მოსწავლეს უქმნის საქმიან გარემოს, რომ ხარისხიანად აითვისონ ნებისმიერი ტიპის სასწავლო მასალა.

გილოცავთ ქალბატონო ეკატერინე დედის დღეს. ამ მშვენიერ დღეს ვულოცავთ ჩვენი სკოლის ყველა პედაგოგს, ასევე მთელი მსოფლიოს დედებს და გისურვებთ ბედნიერებას, სიხარულს, შვილების წარმატებას და უფლის წყალობას!

პედაგოგიური კოლექტივი

ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად – ზრდილობა...“

მისაბაძი მოსწავლე

მეტრო “რუსთაველის” გაჩერებასთან ღრმადმოხუცი შემოვიდა და სახელურს ჩაეჭიდა. ყველა ადგილი მოსწავლეებს ეჭირათ. მოხუცს შეხედეს და ლაზღანდარობა განაგრძეს. ერთი სიმპათიური ბიჭი წამოდგა: **„ბაბუ დაბრძანდით!“ – „გმადლობთ, გაიზარდეთ სასახელო კაცი!“** სხვა მგზავრებმა ბიჭს საქციელი მოუწონეს. ის ახალგაზრდები კი ისევ მამლაყინწობდნენ.

თავაზიანი ბიჭი თბილისის 105-ე საჯარო სკოლის მერვეკლასელი **ირაკლი იაკობიძე** აღმოჩნდა. სკოლის დირექტორმა **სოფიო ხვედელიძემ** და კლასის ხელმძღვანელმა **თინათინ ქუმსიაშვილმა** ირაკლი დაახასიათეს, როგორც სწავლა-ყოფაქცევაში მისაბაძი და სანიმუშო მოსწავლე.

მადლობა ირაკლის მშობლებს, რომ მამულს ასეთ შვილს უზრდიან!

რედაქტორი

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

დედის დღე 3 მარტია

იოსებ ნონეშვილი

დედა

დედავ – სიცოცხლის დიდო საწყისო.,
დედავ – ცხოვრების ბურჯო მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.

ჩემს აკვანს ფერად ღილკილებიანს
შენ დამღეროდი „ნანას“, „მზე შინას“.
რამდენი ღამე არ გძინებია,
რომ ჩემთვის ძილი გესწავლებინა.

შენ ჩემი ხელი ხელში გეჭირა,
არ მშორდებოდი წუთით, საათით.
რომ სიარული გესწავლებინა
შენც დადიოდი ჩემთან ტაატით.

მე შენი წმინდა შუქი მეფინა,
შენსკენ მოვრბოდი ხელებგაშლილი,
რომ ლაპარაკი გესწავლებინა,
შენც ტიტინებდი ჩემთან ბავშვივით.

თურმე რამდენჯერ ავად გავმხდარვარ,
რამდენჯერ სენმა ხელი დამრია,
დედავ, იმდენჯერ ბღუჯა ჭაღარა,
თმებში ჭაღარა შემოგპარვია.

დედავ – სიცოცხლის ტკბილო საწყისო,
დედავ – ცხოვრების დვრიტავ მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.

ურთულეს ხანაში ვცხოვრობთ. ახლა, როდესაც ასე მძაფრად უტევენ დედობის ინსტიტუტს, დედაშვილურ ღირსებას, დედებს (უფრო მომავალ დედებს) ისე მტკიცედ დგომა მართებთ, „ვითარცა შუშანიკს“. იგივე მოეთხოვებათ მამაკაცებს ე. ი. მომავალ მამებს.

რედაქციამ დედის დღესთან დაკავშირებით სახელოვან სკოლა-ლიცეუმ **„ფესვებისაგან“** (დირექტორი **მაია ალანია**) მშვენიერი წერილი მიიღო. პედაგოგიური კოლექტივი ბრწყინვალე დღესასწაულს ულოცავს ასევე ბრწყინვალე დედას და ჩინებულ მასწავლებელს **ნუნუ სეხნიაშვილს**. გთავაზობთ მას.

***

მოწიწება , პატივისცემა და სიყვარული გახლავთ ქალბატონ **ნუნუ სეხნიაშვილის** ღირსეული პედაგოგობის საფუძველი. ყველაზე აქტიური, ახალი სტანდარტებით გაჯერებული გახლავთ მისი ყველა გაკვეთილი. მშვენიერების შეგრძნება, ბუნების სიყვარული, ადამიანის ანატომია თუ ბიოსფეროს შესწავლა ნუნუკა მასწავლებლის უპირველესი საქმეა. **ოთხი ათეული წელია** სკოლას უმწიკლოდ და უშურველად ემსახურება იგი და ატარებს საჩვენებელ თუ ღია გაკვეთილებს. მისი მოსწავლეები იმარჯვებენ სხვადასხვა პროექტებში, სასწავლო ეროვნულ ტურებზე, ადგენენ თვითონ პროექტებს და არიან გამარჯვებულნი.

ნუნუკა მასწავლებელი სიკეთისა და ერთგულების დედოფალია სკოლაში. არაერთხელ დასახელებულა **„წლის საუკეთესო მასწავლებლად“**. იგი ამასთანავე არის ღირსეული მეუღლე, დედა ორი შვილისა, რომლებიც ჭეშმარიტად გამორჩეული მემკვიდრეები არიან. **თამარ ზარანდია** – ნიჭიერი სპეციალისტია, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა. **იოსებ ზარანდია** კი არის ცნობილი მენეჯერი.

საყვარელო **ნუნუკა** მასწაველებელო, გილოცავთ დედის დღეს, **სკოლა-ლიცეუმ „ფესვების“** დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი, მშობლები და მოსწავლეები.

მრავალ დედის დღეს დაესწარით, ღირსეულო დედავ, ბებიავ და საყვარელო ნუნუკა მასწავლებელო!

არ გამქრალიყოს მადლი-ღირსება დედაშვილობისა!

სიკეთის და ერთგულების დედოფალი

ღია გაკვეთილის ხიბლი

„ფესვების“ ღირსეული მემკვიდრენი

საოცარი ნათელი მოჰფენოდა ირგვლივეთს. ლიცლიცებდნენ სანთლები . ისმოდა საგალობლის ღვთაებრივი ხმა. მოკრძალებითა და დიდი სიყვარულით ელოდნენ სტუმრებს სკოლა-ლიცეუმ **„ფესვებში“** X კლასის მოსწავლეები და ქართულის მასწავლებელი, ლიცეუმის დირექტორი – **მაია ალანია**.

„ბნელი უჩინო იქმნების ნათლითა და უფროისლა ფრიადითა ნათლითა, უმეცრებაი უჩინო იქმნების მეცნიერებითა და უფროისლა ფრიადითა მეცნიერებითა“ ფსევდო – დიონისე არეოპაგელის ეს სიტყვები პროლოგად წინ უძღოდა გაკვეთილის დაწყებას.

ცოდნის საძირკველი წიგნიერებაა და წიგნიერება მეცნიერებაა, რომელიც არამხოლოდ თანამედროვეებს აკავშირებს ერთმანეთთან, არამედ სხვადასხვა თაობებსაც – იგია ცოცხალთა და გარდაცვლილთა დიალოგის მშვენიერი მაგალითი.

ჰაგიოგრაფთა ღვაწლისადმი განსაკუთრებული სიყვარულით გამსჭვალულნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ X კლასელები ცოდნის გამოვლენაში. შემაჯამებელ გაკვეთილზე დაისვა უამრავი კითხვა, რომელსაც უშეცდომოდ, გონივრულად, გამორჩეული პატივით პასუხობდნენ აღსაზრდელები.

ერთმანეთს ცვლიდნენ საუკეთესო „ფესველები“ ტიტულისათვის **„ღირსეული მემკვიდრე“**, რომელიც დიდი მოწიწებით დაიმსახურეს: **ლალი პეტრიაშვილმა**, **ივერ ჩხეტიამ**, **მარიამ კაკაშვილმა**, **მარიამ გვილიამ**, **ნათია ჭედიამ**, **გიორგი ბიბიაშვილმა**, **ნიკოლოზ პაპკიაურმა**, **თამაზ ბულაშვილმა**, **დავით მელაშვილმა** და სხვა.

მადლიერებას და სიხარულს ვერ მალავდნენ მოწვეული სტუმრები. სახეგაბრწყინებულმა მოძღვარმა მადლობა გადაუხადა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს უჩვეულო, განუმეორებელი გაკვეთილისთვის. პედაგოგის ოსტატობას, ღირსებასა და ჭეშმარიტებას მატებდა მოსწავლეების საფუძვლიანი ცოდნა. **„ვერ მოვთვლი, რამდენ გაკვეთილზე მივუწვევივართ, მაგრამ ასეთი ცოდნა მოსწავლეებისა იშვიათობაა. გევლოთ წმინდანთა ნაკვალევზე, იყავით უფალს მიმსგავსებულნი!“ – აღნიშნა მოძღვარმა.**

„ფესვებში“ სხვანაირად ზრდიან მოსწავლეებს და ზრუნავენ მათ მაღალ სულიერებაზე.

– დიახ, ამაყი ვარ განაცხადა ქართულის მასწავლებელმა **მაია ალანიამ**, – „ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა გაცნობით ჩვენ შევძელით ზიარება წინაპართან, თანამედროვესთან და მომავალთან. ასეთ წარმატებულ ბავშვობას და სიყრმეს „ფესვების“ გამაგრებით შეგაძლებინებთო. იყავით ბედნიერები, ამაყნი და გამორჩეულნი ღირსად და ჭეშმარიტად!

ასეთი იყო მეათე კლასში შემაჯამებელი გაკვეთილის ხიბლი და ცხოველმყოფელობა.

რედაქტორის მინაწერი:

სკოლა-ლიცეუმი „ფესვები“, რომელმაც ღირსეულად გადაიხადა ათი წლის იუბილე, მუდამ მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. აქ ცოდნის ხარისხი მაღალია. აქ სწავლამიღებული ახალგაზრდები გამოირჩევიან შეგნებული ცოდნით და კონკურენტუნარიანობით. გამობრძმედილი დირექტორი **მაია ალანია** და მისი **ძლიერი პედაგოგები** დაუღალავად იბრძვიან მაღალი შედეგებისთვის და წარმატებებსაც აღწევენ. ამიტომაც არის სკოლა-ლიცეუმი **„ფესვები“** ეგზომ პოპულარულია თემქის დასახლებაში.

ღმერთად საცნობი დედა — მასწავლებელი

ლამაზად შვილთა აღმზრდელ დედაზე ნათქვამი ვაჟას სტრიქონები თბილისის 142-ე საჯარო სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელზე **ლია გვიჩიაზე** ზედგამოჭრილია.

პედაგოგიურ ოჯახში აღზრდამ თავიდანვე განსაზღვრა მისი პროფესიული არჩევანი. პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობის მდიდარი და ლამაზი ბიოგრაფია

ამშვენებს ქალბატონ ლიას ცხოვრებას.

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედინსტიტუტდამთავრებულმა სტუდენტობის დროს, ასევე, პედაგოგიურ ოჯახში აღზრდილ **ზაზა ფანჩულიძესთან** შექმნა ოჯახი. 22 წელია ზემოხსენებულ სკოლაში მუშაობს.

– ვცდილობ ილიას ანდერძის – **„მამული, ენა, სარწმუნოება“** ღრმად დანერგვას მომავალი თაობის მსოფლმხედველობაში. მინდა ჩემს შეგირდებში ქრისტიანული ზნეობა განვამტკიცო, ყველა ნაწარმოები სახარებისეული პათოსით ვასწავლო, მიმაჩნია, რომ სწავლების მიზანი, პირველ რიგში, მოზარდის ჩამოყალიბებაა, – წერს ავტობიოგრაფიულ ნარკვევში.

სკოლის დირექტორი **შორენა ცნობილაძე**, ასევე კოლეგები მაღალ შეფასებას აძლევენ მის პროფესიონალიზმს. სერთიფიცირებული უფროსი მასწავლებელი ძალიან უყვართ მოსწავლეებს, მათ მშობლებს.

– ვამაყობ **ოთხი შვილით**. მწამს, ოჯახი ღვთის დიდი საჩუქარია. უფროსმა შვილმა, **გიორგი ფანჩულიძემ** აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა, დაოჯახებულია და ამჟამად მუშაობს თავისი პროფილით. **პაატა ფანჩულიძე** დედაუნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტია ისტორიის ფაკულტეტზე. **ნინო** და **ზაქარია** V-VI კლასის მოსწავლეები არიან.

ჩემი ცხოვრების უმთავრესი პრინციპი შვილების ქრისტიანულ-პატრიოტული იდეალებით აღზრდაა, ჩემი ვალია ის სიკეთე, მიმტევებლობა, მოყვასის სიყვარული, თავმდაბლობა, მამულის მსახურება, რაც ჩემმა მშობლებმა ჩემში ჩანერგეს, პირუთვნელად გადავცე ჩემს შთამომავლობას, – განაცხადა ჟურნალისტთან საუბარში.

გვინდა ყოველივე სიკეთე ვუსურვოთ ჩინებულ პედაგოგსა და ოთხი შვილის ლამაზად აღმზრდელ დედას.

„დედა ენით“ მზრდელი ყრმათა

გიორგი სააკაძის მშობლიურ სოფელ ნოსტეში დაბადებული პედაგოგი **მარინე კასრაძე** მეოთხედი საუკუნეა, გმირ წინაპართა მაგალითზე პატრიოტული სულისკვეთებითა და **„დედაენის“** სიყვარულით ზრდის ცეროდენებს. ოცი წელი თბილისის აწ უკვე იავარყოფილ მე-15 საჯარო სკოლაში იღვაწა. კარგა ხანია წარმატებით აგრძელებს ნორჩი თაობის დაკვალიანებას 207-ე სკოლაში. აქაც ისეთივე პედაგოგია, რომელზეც პოეტი პატარებს ათქმევინებს: **„შეგვასწავლა ანიბანი, შეგვაყვარა დედაენა, თავს გვევლება, ფრთებს გვისწორებს, რომ თამამად შევძლოთ ფრენა“**.

ბავშვებს ძალიან უყვართ მარინე მასწავლებელი – მშობლებსაც. მაღალ შეფასებას აძლევენ მის საქმიანობას: სკოლის დირექტორი **ზურაბ ჩხაიძე**, მისი მოადგილე **ლია ჯანიაშვილი**, კოლეგები. ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ პედაგოგი მრავალშვილიანი დედა გახლავთ.

სჯობს თავად მარინეს მოვუსმინოთ: ვარ სერთიფიცირებული პედაგოგი, მყავს **ოთხი შვილი** და **შვიდი შვილიშვილი**. ჩვენ ყველა

ერთ დიდ ოჯახს ვქმნით, რომელშიც მუდამ სიხარული და სიყვარული სუფევს.

ჩემს ხელში გაიარა უამრავმა წარჩინებულმა მოსწავლემ, რომლებითაც არა მარტო მე, მთელი სკოლა ამაყობს. ესენი არიან: **ლაშა ბაშარული**, **მარიამ აზირაშვილი**, **მარიამ მანია**, **ილია მაღრაძე**, **ლუკა ჩიკვილაძე**, **გიორგი ხმიადაშვილი**, **ლიკა ჩიქვინიძე**, **გვანცა მთავრიშვილი**. გამიჭირდება ყველას ჩამოთვლა.

ამჟამად ვარ პირველი კლასის პედაგოგი. მათი მამულიშვილებად აღზრდისთვის ძალ-ღონეს არ ვიშურებ.

ძალიან მიყვარს სამშობლო, ოჯახი და ბავშვები. ამიტომაც მსურს ყველა მოზარდს ჩავუნერგო ეს თვისებები. მწამს, უსიყვარულოდ ქვეყანა ვერ გადარჩება. გამოცდილებას არ ვიშურებ მოსწავლეთა ცოდნის თვალსაწიერის გასაფართოებლად. ხშირად გამყავს ისინი ქალაქგარეთ, დავდივართ მუზეუმებში, თეატრში, გამოფენებზე, ვდგამთ მინი სპექტაკლებს. წელს ჩავატარეთ საშემოდგომო და საახალწლო ზეიმები. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ საქართველოს ხვალინდელ პატრონ თაობას ძალიან უყვარდეს ქართული „ენა, მამული, სარწმუნოება“.

მარინე კასრაძეს ვულოცავთ დედის დღეს და ვუსურვებთ ბედნიერებას.

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო!„

42 წელია თბილისის მე-18 საჯარო სკოლაში იღვწის ბიოლოგიის მასწავლებელი **ლეილა გველესიანი**. შეუმჩნევლად გაფრენილა წლები. თაობები იცვლებიან. ჩვენს სკოლაშიც ბევრი ახალგაზრდა პედაგოგია, რომლებსაც წინა თაობის სახით საიმედო დასაყრდენი დახვდათ. მათ შორისაა ქალბატონი ლეილა, რომელიც ზნეკეთილობის მაგალითია. კარგი დედა, გულისხმიერი კოლეგა და საუკეთესო პედაგოგია, მხოლოდ საგნის კი არა, სიკეთის სიყვარულსაც უნერგავს ბავშვებს. პატიება, შემწყნარებლობა, სამართლიანობა – ეს ის ღირებულებებია, რომელთა ერთგული თვითონ არის, აღსაზრდელებსაც იგივე სულისკვეთებით ზრდის.

ბევრი სასახელო თაობა გამოზარდა. ჩვენი სკოლის დირექტორი ქალბატონი **თამარ ხორავა**, დირექტორის მოადგილე ქალბატონი **თამარ ნოზაძე** მისი აღზრდილები არიან. საოცარი მოკრძალება და ურთიერთპატივისცემა იგრძნობა მათ დამოკიდებულებაში.

სკოლა მისთვის მეორე ოჯახია. მთელმა კოლექტივმა გაიზიარა ლეილა მასწავლებლის მწუხარება, როდესაც მისი ერთადერთი სანაქებო შვილი, ამ სკოლაში აღზრდილი **ნიკუშა** ხელიდან გამოგვეცალა. დარდი ბავშვებისა და სკოლის სიყვარულმა გადაატანინა. თავს დატეხილმა უბედურებამ არ შეცვალა მისი მოსიყვარულე გული. იგი კვლავინდებურად თბილი და ყურადღებიანია.

ქალბატონი ლეილა ორი შვილიშვილის ბებიაა. მათი სიხარულით და წარმატებებით ცოცხლობს და ხარობს.

ლეილა გველესიანი ამ სკოლის წარმატებული პედაგოგია, არაერთი ჯილდო და მადლობა აქვს მიღებული. ყველაზე დიდი ჯილდო კი ის სიყვარულია, რომელსაც იხვეჭს აღსაზრდელებისა და კოლეგებისგან.

ჩვენ, თქვენი კოლეგები, დედის დღეს – 3 მარტს გილოცავთ, ერთო ჩვენთაგანო და გამორჩეულო ლეილა მასწავლებელო!

ნათელა კორახაშვილი,
თბილისის მე-18 საჯარო სკოლის
ფიზიკის პედაგოგი

სანიმუშო დედა და პედაგოგი

თბილისის მე-9 საჯარო სკოლის გერმანული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **მარიამ მარჯანიძე** მასწავლებელთა იმ რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც მუდმივად თავის მოსწავლეებზე ფიქრობს და მათზე დედასავით ზრუნავს. იგი, უკვე 23 წელიწადია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა და ვინ მოთვლის რამდენი თაობის აღმზრდელია. მადლიერი მოსწავლეები არ ივიწყებენ პედაგოგის ღვაწლს და მუდმივად ეხმიანებიან საყვარელ მასწავლებელს. ამჟამად, ქალბატონი მარიამი მე-V^{3} კლასის დამრიგებელია. მისი კლასი ერთერთი სანიმუშოა და მოსწავლეები დიდი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მარიამ მასწავლებელი თავისი საქმის პროფესიონალია და მუდმივად მუშაობს საკუთარ თავზე.

მარიამ მარჯანიძე სერთიფიცირებული პედაგოგია. მას მიღებული აქვს სიგელი (1997/98 წლებში), თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველოს მასწავლებელთა დახელოვნებისა და განათლების სისტემის მეთოდური უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიერ – პედაგოგიურ კითხვაში წარმოდგენილი საუკეთესო მოხსენებისათვის.

ასევე, გოეთეს ინსტიტუტის საზღვარგარეთ გერმანულ ენაზე ზრუნვისა და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა ხელშემწყობი ცენტრის მიერ – სიგელები და სერთიფიკატები: 1995, 1997, 1998 წლებში. ქალბატონი მარიამის ღვაწლი ჯეროვნად შეაფასეს და საჯაროდ გამოუცხადეს მადლობა თბილისის ნაძალადევის რაიონის განათლების სამმართველოს მაშინდელმა მეთოდურმა კაბინეტმა (დირექტორი **მერი აფხაზავა**) 51-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციასა და საგნობრივი ოლიმპიადების რაიონულ კომისიებში ნაყოფიერი მუშაობის და კოლეგიალური თანადგომისათვის. ...

სკოლის დირექტორი **მარინე გიგაური**, **მარიამ მარჯანიძეს** ასე ახასიათებს: იგი არის უაღრესად მოწესრიგებული, თავაზიანი, შრომისმოყვარე მასწავლებელი. დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, დამსახურებული სიყვარულით, პატივისცემით სარგებლობს მოსწავლეებსა და პედაგოგებს შორის; ასევე, აქტიურად არის ჩართული სკოლის ცხოვრებაში. მის რჩევას, მოსაზრებას და შემოთავაზებულ წინადადებებს ითვალისწინებენ როგორც პედაგოგები, ასევე მოსწავლეები.

მარიამ მარჯანიძე წარმატებულ პედაგოგიურ მოღვაწეობას მშვენივრად უთავსებს ოჯახურ საქმიანობას. იგი, გახლავთ ორი ვაჟის დედა და სამი შვილიშვილის ბებია.

ღვაწლმოსილ პედაგოგს ვულოცავთ დედის დღეს და ხანგრძლივ, ნაყოფიერ საქმიანობას, ამასთან ერთად პირად ბედნიერებას ვუსურვებთ.

გვერდი მოამზადეს: რომან მოსეშვილმა, მზია გოგოძემ, ბორის მიშველაძემ

თბილისის 153-ე ბაგა-ბაღში

აქ მუდამ მზე და გაზაფხულია

ეს თვალწარმტაცი ბავშვთა სამყარო მუხიანის დასახლების მშვენებაა. შეხვალთ, მოიხიბლებით, წამოიძახებთ: **„ეს თვალები რას ნახავენ, სხვა უკეთეს სანახავსა!“** ცეროდენების მომლოდინე წალკოტში ჩამწკრივებულ კარუსელებს, საქანელებს, სასრიალოს, „აჩუ-აჩუ, ცხენოს“ მოუწყენიათ, მაგრამ მალე მოვა გაზაფხული და **„ვერას გახდება, ბევრიც იომოს, ამაოდ ღმუის, როგორც აფთარი, წავა და სადმე თბილისის ბოლოს თავს ჩამოიხრჩობს ავი ზამთარი“**. დიახ, სულ მალე პაწაწინების ხალისიანი ჟრიამული უბანს აახმიანებს. კიდევ ცოტა და, ცეროდენები დედებს იებს დაუკრეფენ, 3 მარტს მიულოცავენ.

ახალი დირექტორის მოსვლიდან სულ ცოტა ხანში ბაგა-ბაღის იერ-სახე უფრო ესთეტიკური და მომხიბლავი გახდა. მართალია, მერია, კერძოდ, ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსი **თემურ თორდინავა** ბაგა-ბაღს მხარში ამოუდგა, მაგრამ ამ დახმარებას ხომ გამოყენება უნდოდა? ჰოდა, გამოცდილი, ენერგიული დირექტორის ხელმძღვანელობით ინფრასტრუქტურა უფრო მოწესრიგდა: შემოიტანეს საჭირო სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოება, ლეიბები, შეივსო ინვენტარი, გამოიცვალა ფარდები, კეთილმოეწყო სამუსიკო დარბაზი და სხვა. მოსვლისთანავე ახალმა დირექტორმა საქმით უპასუხა მერიის, კერძოდ, რაიონის მუნიციპალიტეტის **„მწვანე აქციას“**, ბაგა-ბაღის ვრცელ ეზოში დარგეს 30 ძირი წიწვოვანი ხე.

ახალი დირექტორი **რუსუდან აბულაძე** თბილისის 39-ე საჯარო სკოლისა და დედაუნივერსიტეტის აღზრდილია, დამთავრებული აქვს ფილოლოგიის ფაკულტეტი ფოლკლორისტიკის განხრით. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, სკოლამდელთა აღზრდის დარგში პედაგოგიური წრთობა მიიღო პირველ ლოგოპედიურ საბავშვო ბაღში დიდებულ დირექტორთან, **ზაირა კურტანიძესთან** მის მოადგილედ ხანგრძლივი თანამშრომლობით. თავად დედას და ბებიას ძალიან, ძალიან უყვარს ბავშვები, დედასავით ზრუნავს ყოველ მათგანზე. მალე შეეწყო თანამშრომლებს და ამაყობს თავისი ძლიერი, შემოქმედი, შრომისმოყვარე კადრებით.

რაც მთავარია, 153-ე ბაგა-ბაღში ისეთი კარგი პირობებია, რომ აქეთკენ მოუხარიათ ცეროდენებს. ძალიან კმაყოფილნი არიან მათი მშობლები.

ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში დიდი წვლილი შეაქვს დირექტორის გამოცდილ, შრომისმოყვარე მოადგილეს **ირმა შავშიშვილს**.

ახალი სასწავლო წლიდან ბაგა-ბაღში სიახლე შემოვიდა **„სასკოლო მზაობის პროგრამის“** სახით, რომლის მოთხოვნები უნდა განხორციელდეს მეთოდისტის **ნინო გოსტამაშვილის** ხელმძღვანელობით.

„ხე ნაყოფითა საცნაურ არს“, – გვასწავლის ბიბლია. ბაგა-ბაღის ბარაქიანი ნაყოფი კი ნიჭიერი, დიდი მომავლის მქონე თვალხატულა გოგო-ბიჭები არიან. ბევრი, ძალიან ბევრია პერსპექტიული მომღერალი, მოცეკვავე, მხატვარი, დეკლამატორი, მსახიობი, რომლებიც გვხიბლავენ თავიანთი შემოქმედებით. მათი ჩამოთვლაც მინდოდა, მაგრამ გადავიფიქრე, მჯობნის მჯობნი არ დაილევაო და ვაი, თუ ვინმე გამომრჩეს-მეთქი. სწავლა-აღზრდაში ამ მიღწევების შემოქმედნი ხომ ამ პატარებთან რუდუნებით მოღვაწე აღმზრდელ-პედაგოგები არიან და ყველას დაგელოცოთ მარჯვენა!

დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს აღმზრდელების: **მარინე ჩხაიძის, ეკა ფაფიაშვილის, ირმა ცხვედაძის, თამარ მახარაშვილის, ნანა ირემაშვილის, ნონა გოგილაშვილის, ნაირა სირაძის, მარი თოდაძის, ნინო გელაშვილის, ალა ყიფიანის, ირინე ენდელაძის, ნინო გალდავას, ლელა გოჩიაშვილის, ინდირა აბრალავას, მარინე ბეგლარაშვილის, თეა ხანიშვილის, ქეთი მერებაშვილის**, თანაშემწეების: **დარეჯან ენდელაძის, ია წერეთლის, მარგალიტა ჩადუნელის, მაია ოგანეზოვას, მანანა ბისტოლანაშვილის, ციცინო ხანიშვილის, ნონა ჩანტლაძის, ელეონორა კობახიძის, მცინარა ძიძიგურის, შორენა რამიშვილის, ციალა ლომსაძის, ნანა გიგაურის, სალომე ერგემლიძის, მარეხ გალდავას, თამილა მერაბიშვილის, ნინო ყაველაშვილის, მარინე მინდიაშვილის, თამარ ლომსაძის**, ისევ აღმზრდელების: **ხათუნა რამიშვილის, ნანა ებრალიძის, როზა გიორგობიანის, ირმა აბულაძის, იზა ყაზიშვილის, ირმა ამირანაშვილის, გულნაზ მამადაშვილის, ლელა ქუშაშვილის, ირინე მეტრეველის, ლალი ჯაბიშვილის** თავდადებულ შრომას.

ბავშვთა ჯანმრთელობაზე დედასავით მზრუნველი, გამოცდილი ექთნის **ნელი მახარაშვილის** შიშით ვერცერთი ინფექცია, ვერც „ღორის გრიპი“ ეზოშიც ვერ შემოიხედავს.

ბაგა-ბაღის ცხოვრებას ახალისებენ და ბავშვების სულს აფაქიზებენ ხელოვნების მუზის მსახურნი, ჩინებული პედაგოგები მუსიკისა: **მარინე ნიავაძე, ნინა ლომსაძე** და **მადონა ცერცვაძე**, ცეკვის მასწავლებელი **სოფიო კვაღინიძე**. **მარინე ნიავაძე** ბაგა-ბაღის მშვენებაა – თვითნაბადი კომპოზიტორი და საბავშვო პოეტი. მისი ლექსები მუსიკალური აკომპანიმენტის თანხლებით იმღერება. თუ სურვილი ექნება, მარინეს პოეტურ შემოქმედებას ჩვენს გაზეთში ადგილს დავუთმობთ.

მადლობა უნდა ვუთხრათ აღმზრდელ და მხატვარ **ეკა ფაფიაშვილს**, რომელმაც თავისი ფუნჯით ესთეტიკური ხიბლი შესძინა ბაგა-ბაღს.

ბავშვებში უნარ-ჩვევების აღზრდაზე ბევრს მუშაობს ფსიქოლოგი **ელისო სამხარაძე,** ასევე, ეფექტიანია ლოგოპედ **მარი გოგიაშვილის** მოღვაწეობა.

დირექტორი **რუსუდან აბულაძე** კმაყოფილია მნე **კარლო ნაგლაძის**, საქმის მწარმოებლების: **მზია თოდაძისა** და **ნინო გაფრინდაშვილის** კეთილსინდისიერი საქმიანობით. ხოლო გემოვნებიანი, გემრიელი კერძების გამკეთებელი **ლეილა გელენავა**, მისი თანაშემწეები: **ნელი ნოზაძე, ნაზი ხახუტაშვილი** და **დალი წიკლაური** იმდენად ავტორიტეტულნი არიან, ნუ იკითხავთ. ცუგრუმელებს ძალიან უყვართ მათგან დამზადებული ყუათიანი საჭმელები.

ბაგა-ბაღი მუხიანის ამ მიკრორაიონში ასე პოპულარული და მიმზიდველი რომ არის, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ტექპერსონალს: **მზევინარ ჩემიას, ლალი გალდავას, ნატო ლომიძეს, ეთერ გიორგობიანს, ფიქრია ჩადუნელს, სილვა ხოშებაევს, მარინე გიგუაშვილს, ნუნუ დოხნაძეს, შორენა ბიწაძეს, თაველა ასათიანს, ნათია მათიაშვილს, ნათელა მაღრაძეს, ვაჟა დალაქიშვილს, ზურაბ ცხვედაძეს, იმედო გალდავას, დალი ხაბეიშვილს**, ხოლო დარაჯი **ფარსადან გიგუაშვილი** კეთილსინდისიერებისა და შრომისმოყვარეობისთვის ყველას უყვარს, იმდენად აფასებენ და პატივს სცემენ, რომ აპირებენ მოკლე ხანში 80 წლის იუბილე გადაუხადონ.

მალე თავს დავაღწევთ ზამთრის შემაწუხებელ კლანჭებს, მოგმართავთ ლეონიძის ხალისიანი განწყობილების აღმძვრელი სტრიქონებით: **„სალამი, ასჯერ სალამი! შენ გაზაფხულის დგრიალო!.. შორიდან გეხარხარები: მოდი, სულ ერთად ვიაროთ!“**

დედის დღე და გაზაფხული ერთად მოგვილოცნია თქვენთვის, 153-ე ბაგა-ბაღელებო!

მაია მიშველაძე

ეროვნული ცნობიერებისა და კულტურის ტაძარი — 75

მოშრძანდით, „დიდი მომავლის სასახლე“ გელით!

მიუხედავად იმისა, რომ ათწლეულების მანძილზე, **მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის** ისტორიულ შენობაში, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხები წყდებოდა. მისი მთავარი მისია მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდაა და უკვე 75 წელია თავისუფალი, ღრმად მოაზროვნე მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება. ამას ყველა დროსა და ეპოქაში, მიუხედავად სირთულეებისა, წარმატებით ართმევდა თავს. აქ ყოველთვის იგრძნობოდა ის შემოქმედებითი, თავისუფალი სული, რომლითაც დღესაც გამოარჩევ სასახლის აღზრდილსა და აღსაზრდელს, რომელსაც არც 21-ე საუკუნეში დაუკარგავს აქტუალობა, პირიქით, კიდევ მეტი დატვირთვა შეიძინა. სასახლეს, მისმა აღზრდილმა ცნობილმა პოეტმა **„დიდი მომავლის ტაძარი“** უწოდა, ადგილი, სადაც მომავალი თაობა თავისი ცხოვრების მთავარ არჩევანს აკეთებს, საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების რეალიზების საშუალება ეძლევა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს 200-წლიანი ისტორია აქვს. იგი საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთი გამორჩეული შენობაა, როგორც ისტორიული, ასევე არქიტექტურული თვალსაზრისით.

დროისა და ხელისუფლებების ცვლილებასთან ერთად, ამ შენობაში იყო მთავარმართებლის რეზიდენცია, მეფისნაცვლის სასახლე, ამიერკავკასიის სეიმი, ქვეყნის პარლამენტი. აქ მიიღეს პირველი კონსტიტუცია, აქვე გამოცხადდა საქართველოს, ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა, მუშაობდა საბჭოთა საქართველოს მთავრობა. 1937 წელს შენობა ბავშვებს გადაეცა და ეწოდა **„პიონერთა და მოსწავლეთა სახლი“**, თუმცა სასახლის ოფიციალური გახსნა 1941 წლის 2 მაისს მოხდა.

დღეს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე ქვეყნის მასშტაბით არაფორმალური განათლების ყველაზე მასშტაბური ორგანიზაციაა, მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო და სასწავლო დაწესებულება, რომელიც თავისი მოქნილი სტრუქტურით მრავალი მიმართულებით ემსახურება სასკოლო ასაკის მოზარდს. განსაზღვრულია მათი თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენებისათვის აუცილებელი გარემოს შექმნა, რათა რაც შეიძლება მეტი მოზარდი მოწყდეს ქუჩას და მიეცეს თვითრეალიზაციის შესაძლებლობა.

ამჟამად, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში 15 კაბინეტი, 7 სტუდია და და 1 სახელოსნო მოქმედებს, სულ 463 წრეში 4000-მდე მოსწავლეა გაერთიანებული. ახალგაზრდების უმრავლესობა 2, 3 წრეზე დადის და აქედან გამომდინარე, სასახლე წლის განმავლობაში 7000-მდე ბავშვს, მათი სკოლისგარეშე თავისუფალი დროის გონივრულ გამოყენებას, არაფორმალურ სწავლებას ემსახურება.

მე, გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის მუშაკი ამ სტრიქონების ავტორი, კვირაში ორჯერ მაინც ვსტუმრობ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეს (ჩემი შვილიშვილი ერთ-ერთი ქორეოგრაფიული ანსამბლის „ლაშქარის“ წევრია, რომლის ხელმძღვანელიც შესანიშნავი პროფესიონალი და წესრიგის მოყვარული პედაგოგი **კახა დაშნიანი** გახლავთ. სასახლეში დღეისათვის 17 ქორეოგრაფიული ჯგუფი ფუნქციონირებს). თავისი არსებობის მანძილზე სასახლეში მრავალი მაღალი პროფესიონალური და ორგანიზატორული ნიჭის მქონე პედაგოგი მოღვაწეობდა. მახსოვს, ჩემი მოსწავლეობის პერიოდში, XX საუკუნის 50-იან წლებში სასახლეში ბავშვებს თეატრალური ხელოვნების სიყვარულს გვინერგავდნენ ისეთი გამოჩენილი ადამიანები, როგორებიც იყვნენ **სერგო ზაქარიაძე**, **ბუხუტი ზაქარიაძე**, **ვახტანგ სულაქველიძე**, **თენგიზ მაღალაშვილი**, **ნანა ხატისკაცი** და სხვები.

სასწავლო პროცესს სასახლეში დღესაც ტრადიციულად მაღალკვალიფიციური პედაგოგები წარმართავენ. სასახლე მუდამ განებივრებული იყო სახელოვანი პედაგოგებით. მათ შორის არაერთი საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება მოღვაწეობდა. თავისი საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალი: **ქეთევან ანანიაშვილი**, **ვახტანგ ქარსელაძე**, **ალექსანდრა ჯაფარიძე**, **ფაცია პაიჭაძე**, **ნიკოლოზ საღარაძე**, **გურამ ბზვანელი** და მრავალი სხვა. ტრადიცია გრძელდება.

სასახლე ამაყობს არა მარტო ცნობილი პედაგოგებით, არამედ სახელოვანი აღზრდილებით. აქ არაერთი მსოფლიოში სახელგანთქმული ხელოვანი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე სწავლობდა. საამაყოა დავასახელოთ ისეთები, როგორებიც არიან: მწერალი **რეზო თაბუკაშვილი**, საოპერო მომღერალი, სსრკ სახალხო არტისტი **ზურაბ ანჯაფარიძე**, მსახიობი **თენგიზ არჩვაძე**, აკადემიკოსი **მერაბ ალექსიძე**, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში **ნონა გაფრინდაშვილი**, კინორეჟისორი **ლანა ღოღობერიძე**, დიდოსტატი, მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი ჭადრაკში **ნანა ალექსანდრია**, ფიზიკოსი, პროფესორი **გია დვალი** და მრავალი სხვა სახელგანთქმული პიროვნება, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა. ბოლო წლებია სასახლის ხელმძღვანელობამ დააწესა **„წარმატებული სასახლელის“** წოდება, ეს საპატიო წოდება ყოველწლიურად ენიჭებათ წარმატებულ პიროვნებებს, რომლებმაც ბავშვობის წლები სასახლეში გაატარეს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეს ჰყავს **„ვარსკვლავოსანი“** ანსამბლები, აქვს **„ვარსკვლავოსანი“** კაბინეტები: ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი **„მზიური“**, საჭადრაკო სკოლა - კლუბი **„ნტნ“**, სტუდია **„პიონერფილმი“**, ქორეოგრაფიული ანსამბლი **„იმედი“**, ფოლკლორული ანსამბლი **„მირანგული“**.

სასახლის შენობა ისტორიულია. მას წლებმა თავისი კვალი დაამჩნია და სერიოზულ სარემონტო სამუშაოებს საჭიროებს. იმისათვის, რომ თანამედროვე მოთხოვნები დააკმაყოფილოს, მისი მოდერნიზაციაა საჭირო. ამ მიმართულებით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა... თუმცა, პროცესი გრძელდება. წელს სასახლის ადმინისტრაციის ინიციატივით, თბილისის მერიის დახმარებით, შესაძლებელი გახდა მისი ისტორიული ნაწილის, პირველი შენობის სახურავის საფუძვლიანი შეცვლა-განახლება, რომელიც ათეულწლებია, არ შეკეთებულა. ამ მიზეზით ზიანდებოდა ინტერიერი. მისი განახლება ფაქტობრივად, ამ უნიკალური შენობის გადარჩენის ტოლფასია. ასევე, ნაწილობრივ კაბინეტები აღიჭურვა სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით, რაც აუცილებელი პირობაა სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

სასახლის შემოსასვლელში დაიდგა **ტურნიკეტი**, რათა მოხდეს მოსწავლეების ზუსტი აღრიცხვა, ეს აუცილებელია, ერთი მხრივ, ანალიტიკური კვლევის ჩასატარებლად, მეორე მხრივ კი, მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სასახლის ტერიტორიაზე უცხო პირთა შემოსვლას აკონტროლებს დაცვის სამსახური.

ბოლო წლების მანძილზე, არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა: სასახლის ინიციატივითა და კოორდინაციით, გასული წლის 19 და 20 დეკემბერს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გაიმართა სტრატეგიული პარტნიორობის ფორუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმომწერი მრავალპროფილიანი სასწავლო, კულტურული, სპორტული, სკოლისგარეშე და არაფორმალური განათლების ორგანიზაციები მთელი ქვეყნის მასშტაბით, რათა შემუშავდეს მოქმედების ერთიანი სტრატეგია.

გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სასახლესა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის, რომლის მიზანი პროფე-

გაგრძელება მე-6 გვ.

მე-5 გვერდიდან

სიული და შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება, ერთიანი ხედვის და პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბებაა.

აღსანიშნავია, რომ სასახლე მსოფლიოში ერთ-ერთი გავლენიანი ორგანიზაციის "Child and Youth Finance International"-ის ბავშვთა და ახალგაზრდობის ფინანსური განათლების საერთაშორისო ორგანიზაციის პარტნიორი გახდა. ამ

თანამშრომლობის ფარგლებში, აპრილში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ჩატარდება საერთაშორისო პროექტის მეორე ეტაპი – ტრენერების ტრენინგი, პროექტის მიზანია ახალგაზრდებში ფინანსური წიგნიერებისა და ეკონომიკური სამოქალაქო განათლების პოპულარიზება.

სასახლეში ყოველწლიურად ტარდება მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია, რომელიც წელს 70-ე, საიუბილეოა. ტრადიციულად, მოსწავლეები 27 სექციაში, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროში შექმნილ ნაშრომებს წარმოადგენენ.

ტრადიციულ ღონისძიებებთან ერთად



სასახლეში არაერთი ახალი საინტერესო პროექტი ხორციელდება, მათ შორის საყურადღებოა სასახლის მედიასტუდია **„დროს“**: ინტერნეტ ჟურნალი „**Online Taoba**", ერთობლივი გადაცემა ტელეკომპანია **„ერთსულოვნებასთან“** ერთად.

უახლოეს ხანში, არაერთი საინტერესო პროექტის ხორცშესხმა იგეგმება: შეიქმნება მეცნიერების კუთხე, განხორციელდება სასახლის ისტორიული ბიბლიოთეკის მოდერნიზაცია და სათანადო აღჭურვა, **წარმატებულ სასახლელთა** ხეივანის მოწყობა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მრავალმხრივ საქმიანობას სათანადო დონეზე ხელმძღვანელობენ შესანიშნავი ორგანიზატორები, ჭეშმარიტი პროფესიონალები: დირექტორი **ქეთევან ფეიქრიშვილი**, მისი მოადგილეები – **ლია ლომინაძე**, **თამარ ჩიმაკიძე** და **ეკა ჭაჭიაშვილი**.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობის საიდუმლო მის მუდმივ განახლებისაკენ სწრაფვაშია. ამისი დასტურიცაა ის ფაქტი, რომ კვლავ დიდია მოსწავლეთა ინტერესი არა მარტო ტრადიციულად მოთხოვნადი წრეებისადმი, როგორიცაა **უცხოური ენები**, თუ **ბავშვთა საერთაშორისო ურთიერთობების კაბინეტი**, **სახელოვნებო წრეები**, არამედ **ზუსტი** და **საბუნებისმეტყველო დისციპლინებისადმი**, რაც ქვეყანაში მიმდინარე ტენდენციების გამოძახილიცაა.

2016 წელი სასახლისთვის საიუბილეოა, მას 75 წელი უსრულდება! ამ ხნის მანძილზე, მიუხედავად სირთულეებისა მან შეინარჩუნა მთავარი – თავისუფალი სული. ის დღემდე რჩება ცოდნის, შემოქმედებითი აზროვნების ტაძრად. სწორედ ამაშია მისი წარმატების საიდუმლო და ცხოველმყოფელობა. მობრძანდით, **„დიდი მომავლის“** სასახლე გელით!

ჩვენს ეროვნული კულტურისა და ცნობიერების ტაძარს წარსული დიდების დაბრუნებას და უფრო გაბრწყინებას ვუსურვებთ!

რომან მოსეშვილი

გაზაფხული

ხალისიანი განწყობილებისათვის

გიორგი ლეონიძე

რომელ მერანზე მოფრინდი,
რომელ მქრთლავი რაშითა?
„ლილეოს“ ქუხილთა ხმებში,
ნიაღვარების ტაშითა!
ვინა თქვა, სინაზით მოხვალ,
ენძელებით და იითა?
სადაც მწვანე ფრთას დაიქნევ,
ვაჟკაცურ ძგერას მიიტან!
სალამი, ასეგერ სალამი!
შენ გაზაფხულის დგრიალო!
ყინულს დალეწავ, ხმატკბილად
წყარომ რომ დაიწკრიალოს...
მე გულს დავლეწავ, ნაკვესარ
ლექსმა რომ დაიძგრიალოს!
შორიდან გეხარხარები:
მოდი, სულ ერთად ვიაროთ!

გიწვევთ საღისკუსიოდ!

წერა-კითხვა ხომ არ გაჯიწყდებათ?

ინდაურივით თავშეყოფილი შვილიშვილები ვერ მოვაშორე კომპიუტერს. პატარები კიარა, ჭარმაგებიც კი გადარია ცივილიზაციის ამ მონაპოვარმა, მის ჯანმრთელობას დაემუქრა, იოლად ფონს გასვლის სენი შეჰყარა, ლამის წიგნი და კალამი ხელიდან გააგდებინოს, ნარკოტიკივით შეიჩვია. ამას მე კი არა, ექიმები და ფსიქოლოგები მეცნიერულად ამტკიცებენ. წიგნი რომ წაიკითხო და ცოდნა შეიძინო, ამას შრომა უნდა, ენერგიის დაძაბვა, ტვინის შეწუხება. კაცის ბუნება ასეთია: ყველაფრის იოლად მიღწევა უნდა, ოფლის დაუღვრელად.

დღეს იდიოტი უნდა იყო, კომპიუტერის მნიშვნელობა-სარგებლიანობას არ აფასებდე, მაგრამ მედალს ხომ მეორე მხარეც აქვს? მაშ, რა ვქნათ? სად ვეძებოთ გამოსავალი? ფსიქოლოგების აზრით, კომპიუტერით და მობილურით უსაზღვრო გატაცება (სულ ერთია, მოზარდი იქნება თუ ზრდასრული), პიროვნებას ერთგვარად ცლის ემოციებიდან. მოდით, ასე დავსვათ კითხვა: ამაღლდა თუ არა სწავლის, შეთვისებული ცოდნის დონე და ხარისხი, მას შემდეგ, რაც ცხოვრებაში ასე უმძლავრესად შემოიჭრა კომპიუტერი? მოსწავლე, სტუდენტი გადაეჩვია დამოუკიდებელ აზროვნებას. რაზე შეიწუხოს თავი, როცა აგერ შეყოფს თავს და იოლად მიიღებს რა და რა გინდა ინფორმაციას. ამიტომ, რატომ შეიწუხებს თავს მოსწავლე, სტუდენტი წერით, კონსპექტების შედგენით, არ ჯობია, შევყოფ თავს ინდაურივით, იმდენ ინფორმაციას მივიღებ, რომ... მაგრამ იმ ზღვა ინფორმაციის ათვისება არ გინდა?

თანდათან გადაეჩვია მოზარდი წიგნის ხელში აღებას. რამდენიმე პოეტს ვიცნობ, „ჯღაბნა მეზარებაო“ ამბობს და პირდაპირ კომპიუტერით ააწყობს მუზის ნაყოფს. ხალხური სიბრძნე, გაგვიგონია: „ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო“, ე. ი. ადვილად შესწავლილი, ადვილად გავიწყდება. ფსიქოლოგები ამბობენ: „რაც მეტი გრძნობათა ორგანო მონაწილეობს აღქმაში, მით მეტია შთაბეჭდილებათა კვალი (დამახსოვრება) ჩვენს ცნობიერებაში“.

თუ შენ წიგნს იშვიათად წაიკითხავ. თუ შენ იშვიათად დაწერ რამეს, შეუმჩნევლად ორივეს გადაეჩვევი.

ამას წინათ, საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ ძალზე საჭირო გადაცემა შემოგვთავაზა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ. მოწვეული ჰყავდათ ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები, რომლებმაც განგაშის ზარი შემოკრეს ქართული ასოების მართლწერას, კალიგრაფიას საფრთხე შეექმნაო. ექვსი წლის ლუკას წერას ასწავლიდნენ, ვერ სწავლობდა. ვინც წერა იცის, ჯღაბნის. კონსტანტინე გამსახურდია კი ნახატივით ლამაზ ქართულ ასოებს ეალერსებოდა: „ანი ნამგალს ჰგავსო, ბანი – ყელწერწეტა დოქს“. მაშ, რა ვქნათ? რა და, ბოროტად ნუ ვისარგებლებთ (განსაკუთრებით ბავშვები) კომპიუტერით, თორემ თავად გავხდებით მისი მსხვერპლი. რომში ერთ-ერთი საფლავის ქვას აწერია: „იგი ჭამდა და სვამდა ზომიერად“ და სწორედ იმ კაცმა 120 წელი იცოცხლა. „მეტის მეტი – ბრეტისბრეტი, ასე უთქვამთ ძველებს“. კალმახზე უფრო მარგებელი თევზი, აბა რომელია? მაგრამ ზომაზე გაცილებით მეტს რომ მიაძღა ლუარსაბი, „დაემართა კუჭის ანთება და ჩაბარდა პატრონს“.

კომპიუტერი ვერასოდეს შეცვლის წიგნს, წერა-კითხვას. იგი სწავლების უმაღლესი დონის ტექნიკური, დამხმარე საშუალებაა.

ექვსი წლის წიწილასავით შეუბუმბლავ პირველკლასელს ნუ მივაჩეჩებთ კომპიუტერს. მოდით, მისი გამოყენება **მეოთხე კლასიდან** დავაწყებინოთ. მკითხველო, ამ პრობლემაზე შეიძლება დუმილი? მოდით, თქვენი მოსაზრება გაგვიზიარეთ!

რედაქტორი

კერძო სკოლის დიდი მისია

„ხიხანი“ ყველასთან პირნათელია

მეტრო „ღრმაღელესთან“ მდებარე მრავალპროფილიანმა საშუალო სკოლა **„ხიხანმა“** დაფუძნებიდანვე ჩინებული სტარტი აიღო და პოპულარული გახდა სანზონაში. რით მოიხვეჭა სახელი? რით და მაღალხარისხიანი სწავლებით, თანამედროვე ტექნოლოგიებით, განსაკუთრებით მაღალპროფესიონალი, ძლიერი პედაგოგებით. ასეთი მაღალკვალიფიციური კადრებით ბევრი პრესტიჟული სკოლა იამაყებდა. კურსდამთავრებულნი გამოირჩევიან საფუძვლიანი, კონკურენტუნარიანი ცოდნა-განათლებით.

სკოლის დამფუძნებელი გახლავთ ცნობილი პროფესორი **აკაკი დუმბაძე**. მთელ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს კი უძღვება აღმასრულებელი დირექტორი, საგანმანათლებლო სივრცეში ცნობადი სახე, ღვაწლმოსილი პედაგოგი **ჟუჟუნა მუმლაძე**. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა პედაგოგად თბილისის მე-60, 126-ე, 101-ე სკოლებში. 20 წელი წარმატებით დირექტორობდა თბილისის 57-ე საჯარო სკოლას. გთავაზობთ მასთან საუბრის მოკლე შინაარსს.

***

სკოლის ყველა თანამშრომელი ორიენტირებულია მაღალი შედეგებისათვის. ამისთვის შემოქმედებითი გატაცებით იბრძვიან: თბილისის 76-ე საჯარო სკოლაში დირექტორად მუშაობისას წრთობამიღებული სასწავლო ნაწილის გამგე, ძლიერი პედაგოგი **რეზო ნინუა**, სამეურნეო ნაწილს ხელმძღვანელობს **ზურაბ დუმბაძე**, ფინანსური მენეჯერი გახლავთ **ბეჟან ჩოხელი**, სკოლის წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ ბუღალტერ **მანანო ბასილაშვილს**, ინფორმატიკის მენეჯერს **გიორგი სიხარულიძეს**. ენთუზიაზმით მუშაობენ გამოცდილი პედაგოგები: **ნელი ღაჭავა**, **ცისანა დათაშვილი**, **ლამარა ცხვედაძე**, **ფიქრია ღურწკაია** (პროფესორი), **დალი ზუკაკიშვილი-ნინიაშვილი**, **ლილი ანთელავა**, **ეთერ ქუთათელაძე** (რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი), **ციალა ჩხაიძე-ქოზაშვილი**, **ნინო პერანიძე**, **ლელა ზედელაშვილი-კერძევაძე**, **თინათინ ხუბულაური-ჭაბაშვილი**, **პლატონ ოთინაშვილი**, **დალი თათულაშვილი**, **ანა არველაძე** (პროფესორი), **თეიმურაზ მამუჩიშვილი**, **მანანა ფხოველიშვილი**, **მარიამ ყურაშვილი**.

სკოლაში სწავლობენ მე-10, მე-11, მე-12 კლასელები. შარშან კურსდამთავრებულთაგან 87 სტუდენტი გახდა. **ნათია ნაკაიძემ** სკოლაში ოქროს მედალი მოიხვეჭა.

„ხიხანში“ ფუნქციონირებს 3 კათედრა. საზოგადოებრივი მეცნიერებისა, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოცდილი პედაგოგი **დალი მშვიდობაძე**, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისას – პროფესორი **ფიქრია ღურწკაია**, უცხოური ენების, სპორტისა და ხელოვნების კათედრას ხელმძღვანელობს **ციალა ჩხაიძე**.

სკოლა ამაყობს საუკეთესო სპორტსმენებით. ესენი გახლავთ: **ირაკლი მეტრეველი** (ჩოგბურთი), **საბა ლომიძე** (კალათბურთი), **გოგა შალამბერიძე** (ფეხბურთი) და სხვა.

სკოლა ასახელეს მოდელებმა: **თამარ ნაცვლიშვილმა** პარიზში განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. მას დიდი წარმატება ხვდა წილად. ასევე გაიმარჯვა მოდელმა **მარიამ კვარაცხელიამ**.

შესანიშნავი მუსიკოსი (საყვირი) **ვლადიმერ გეორგიანი** უამრავი ჯილდოს მფლობელი, 22 კონკურსის ლაურეატია.

სკოლა ასახელეს **ლაშა ჯაიანმა** (მორაგბე), საქართველოს 18 წლამდე ნაკრების წევრმა, **გიორგი დვალმა** (ველოსიპედით სამთო დაშვება) სნოუბორდის ნაკრების წევრმა. იგი 2014 წელს გახდა საქართველოს ჩემპიონი.

სწავლაში წარჩინებული მოსწავლეები არიან: **სოფიო ჯანჯალია**, **მიხეილ ტატიშვილი**, **ნინო ალანია**, **ანა ქავთარაძე**, **ნუგზარ ჩაჩხიანი**, **მარიამ კრიხელი**, **სალომე კიკაბიძე**, **ქეთევან ღაღაშვილი**, **ქეთევან მონადირიშვილი**, **ლიზი** და **ნუცა ჩინჩილაკაშვილები**, **დიმიტრი** და **გიორგი ყიფიანები**, **ლუკა ღურწკაია**, **ლაშა ჯაოშვილი**, **ლუკა მკალავიშვილი**, **ანდრია**, **ნატალია**, **ნიკოლოზ კალანდაძეები**, **ზვიად ჩიქობავა**, **მაია თომაძე**, **გიორგი**, **ლუკა** და **ნიკა მუმლაძეები**, **ანა მგელაძე** და სხვები.

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ლაბორატორიული კაბინეტები. ბიბლიოთეკა მდიდარია სასწავლო და სხვა ლიტერატურით, ჰყავს ერუდირებული ბიბლიოთეკარი **მაყვალა ოდილავაძე**. კარგი სპორტული დარბაზი ჩაყენებულია აღზრდის სამსახურში.

სკოლაში განათლებასთან ერთად მოწესრიგებულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. ჰყავთ გამოცდილი ექიმი **თამარ ნინიაშვილი**, რომელიც მოსწავლეების ჯანმრთელობაზე ბევრს ზრუნავს.

მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი უნარებისა და პოტენციალის ამაღლების მიზნით, ტარდება შეხვედრები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. მაგალითად, მოწვეული გვყავდა საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენლები. ამ ღონისძიებაზე გაიმართა საქმიანი, საინტერესო საუბრები.

სისტემატურად ტარდება ლიტერატურული საღამოები. მოეწყო **ნოდარ დუმბაძის** შემოქმედების განხილვა. **ვაჟა-ფშაველას** გარდაცვალებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით თემაზე **„მთის არწივი“** მოეწყო პოეტის შემოქმედების გაანალიზება-გარჩევა.

„ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადა“, – ამ ლიტერატურულ ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მე-12 კლასის ნიჭიერმა და წიგნიერმა მოსწავლეებმა (კლასის ხელმძღვანელი **ლალი ნინიაშვილი**).

ერთი სიტყვით, სკოლამ არსებობის 13 წლის მანძილზე თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია. **„ხიხანი“** საქართველოს უზრდის პატრიოტ და განათლებულ ახალგაზრდობას. სკოლის ყველა დედა მასწავლებელს, ასევე ყველა თანამშრომელს, მოსწავლეს ვულოცავთ დედის დღეს და გაზაფხულს.

„**ხიხანელებო**“, ახალ გამარჯვებებსა და ბედნიერებას გისურვებთ!.

ბორის მიშველაძე

უწყინარი წკიპურტები

ბაგა-ბაღის დირექტორმა „გაგვაშაყირა“

„გაშაყირება“ არასალიტერატურო სიტყვაა, **გაბითურების** სინონიმი გახლავთ. გურულები შესატყვის ტერმინად **„გაღადავებას“** ხმარობენ. მერე რა, ჩვენ კი არა, დიდებულმა **დავით კლდიაშვილმა** კუთხური **„გაცუცურაკება“** სალიტერატურო ლექსიკურ ნორმად აქცია. ეს ხუმრობით, ახლა კი – უფრო სერიოზულად:

ერთ ბაგა-ბაღს ვეწვიეთ, სადაც ბრწყინვალე აღმზრდელ-პედაგოგები მოღვაწეობენ. დედის დღესთან დაკავშირებით მინდოდა, მათ საქმიანობაზე გულთბილი წერილი დამეწერა.

– ეს კერძო გაზეთია? – დირექტორის შეკითხვაში რაღაც დამამცირებელი ირონიული ტონი აღვიქვი.

„სახალხო განათლება+“ გავუწოდე: იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ იდეებზე დაფუძნებული საქართველოს მასწავლებელთა 90 წლის გაზეთია.

– რა მასშტაბით ვრცელდება? – პასუხს არ დაელოდა, – არ მინდა, ჩვენს თავზე ვწეროთ და ჩვენვე ვიკითხოთ.

– ქვეყნის მასშტაბით კითხულობენ...

მაინც თავისას ერეკებოდა და მის საუბარში იგრძნობოდა ცინიკური ქვეტექსტი: თითქოს ვიყავი ვინმე კერძო პირი, რომელიც დადის და ასაღებს პედაგოგისთვის არასაჭირო კერძო გაზეთს.

– რამდენი იქნება გადასახადი?

– რა გადასახადი, საშემოსავლო? მშობლიური ბაღის ცხოვრების ამსახველ პედაგოგიურ გაზეთს აღმზრდელები რომ შეიძენენ, ამას გადასახადი ჰქვია?

– არ შეიძენენ. ურჩევნიათ, მის ფასად ერთი ცალი პური იყიდონ.

აი, დირექტორის აზრი თავის პედაგოგებზე!

იმ წერილის კითხვას შეუდგა, სადაც სხვა ბაღის დირექტორზე, მის კოლეგაზე ვწერდი, მეცნიერებათა დოქტორია-მეთქი.

– მე რომ არა ვარ დოქტორი, რაღა ვქნა? – ირონიული ღიმილი გამოეხატა სახეზე. სიმართლე გითხრათ, ამ წინადადების საიდუმლოებას ვერ ჩავწვდი.

შემდეგ მეთოდისტი იხმო და უბრძანა: არ მომწონს ეს გაზეთი, მაგრამ მაინც **„სასკოლო მზაობის პროგრამაზე“** დაუწერე ამ კაცს რამეო.

ვატყობდი, ერთი სული ჰქონდა, თავიდან როგორ მოვეშორებინე. ჰოდა, მეც დავტაცე ქუდს ხელი და გავეცალე.

ასე „გაგვაშაყირა“ გლდანულის ბაგა-ბაღის დიდად განათლებულმა, სტუმართმოყვარე დირექტორმა **იზოლდა ლოლაძემ** მე და საქართველოს მასწავლებელთა გაზეთი.

მოსე მწერალი

დედის დღეს გილოცავთ, 85-ე ბაგა-ბაღელებო!

გულს გაგვიხარეშს ეს გაზაფხული

მეტრო „ვაჟა-ფშაველასთან“ მდებარე 85-ე ბაგა-ბაღი მთელი გარეუბნის მშვენებაა. ხუთი წლის წინათ ვიყავით აქ. მას შემდეგ

ხუთჯერ უფრო გალამაზებულა იგი. მალე მოვა გაზაფხული და ზღაპრულ ეზოს, ჯერ ისევ მოწყენილს, ცეროდენები გაახალისებენ. მალე, 3 მარტს დედის დღეც დადგება.

დედა ყველაზე ძვირფასი არსებაა. დედა მზე და გაზაფხულია. დედა სიცოცხლის საწყისი და წყაროა. ცეროდენები იას დაუკრეფენ დედას, ჩაეხუტებიან, უმღერებენ, ლექსს უძღვნიან, თუნდაც ასეთს: **„დედა, ია დაგიკრიფე, ლურჯთვალა და კოპწია, დედის დღე და გაზაფხული ერთად მოგვილოცნია“**.

ცუგრუმელების ამ ზღაპრული სამყაროს დიდი დიასახლისი გახლავთ ბავშვებზე დედასავით მზრუნველი, გამოცდილი დირექტორი, ისტორიის პედაგოგი და ჩინებული ჟურნალისტი **ინგა გუგავა**. იგი ამაყობს თავისი ძლიერი, შრომისმოყვარე თანამშრომლებით, გამოცდილი და თანამოაზრე პედაგოგ-აღმზრდელებით.

– ჩვენ გუნდური პრინციპით ვიღვწვით, შეხმატკბილებულად, – აცხადებს ქალბატონი ინგა, – ვერავის გამოვარჩევ, ყველა მუშაკი კეთილსინდისიერად უძღვება თავის საქმეს. მაინც წამოვაცდენინეთ ღვაწლმოსილთა ქება. აი, მაგალითად, მაღალი შეფასება მისცა დირექტორმა გამობრძმედილი მეთოდისტის **თამარ დუმბაძის** საქმიანობას, დამსახურებული ფსიქოლოგის **ნინო ხელაძის** დიდ გამოცდილებას. სხვებზე სხვა ადგილას ვიტყვით. ყველაზე მთავარია, რომ აქ **პატარების სწავლა-აღზრდისთვის შესანიშნავი პირობებია შექმნილი**. აქ ისიც არის მთავარი, რომ **მშობლები ძალიან კმაყოფილნი და გახარებულნი არიან.** მშობელთა უამრავი სამადლობელი სიტყვა ამოვიკითხეთ შთაბეჭდილებათა წიგნიდან.

მერიის, კერძოდ, ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროს **თემურ თორდინავას** დახმარებით მიმდინარე სასწავლო წელს ბევრი რამ შეემატა ბაგა-ბაღს: უფრო მოწესრიგდა ეზო-გარემო, შემოიტანეს ახალი ინვენტარი, სათამაშოები, საწოლები, სასწავლო თვალსაჩინოება.

– წლევანდელი წლის ყველაზე დიდი სიახლეა ის, რომ ეფექტიანად, წარმატებით ვახორციელებთ **„სასკოლო მზაობის პროგრამის“** მოთხოვნებს, – განგვიმარტა მეთოდისტმა **თამარ დუმბაძემ**, – შარშან 90 სასკოლოდ მომზადებულ ნიჭიერ ცეროდენას გზა დავულოცეთ სკოლაში. წელსაც იმავე რაოდენობის ჩინებულად მომზადებულ პატარას გავაცილებთ.

მოკლედ, მინდა მარჯვენა დავულოცოთ და მადლობა ვუთხრათ ყველა წარმატების შემოქმედთ, ნიჭიერი (აქ ყველა ნიჭიერია) თვალხატულა გოგო-ბიჭების აღმზრდელებსა და მათ თანაშემწეებს: **ლეილა ბეჟანიშვილს, ნათელა ბიბილაშვილს, ირმა სომხიშვილს, ნანა მეშველიანს, თამილა ლიპარტელიანს, თამარ ბაღაშვილს, ტატიანა ილურიძეს, ლელა ტყემალაძეს, ინგა ლაზარევას, ინგა მინდიაშვილს, ლელა ინაშვილს**, თანაშემწეებს: **ნატო ნოზაძეს, ეკა კუკულაძეს, დიანა ტორაძეს, ნანა რურუას, ნათია მარკოზაშვილს, ირინე ჭოხონელიძეს, ხათუნა** და **ცისანა ტეფნაძეებს**.

შედეგიანად მუშაობენ პაწიებთან სპეც-პედაგოგი **თამარ აფხაზავა** და ლოგოპედი **ციალა თოლორდავა**.

რაც არ უნდა ვთქვათ, შრომისმოყვარე გამოცდილი საქმისმწარმოებლების: **ფოთოლა სვანიძის** და **მირანდა მოდებაძის**, მკლავმოუღლელი მნე **მზია მაისურაძის** ენთუზიაზმის გარეშე ბევრი რამ დააკლდებოდა ბაგა-ბაღელთა კეთილდღეობას. დირექტორი **ინგა გუგავა** მეტად კმაყოფილია ამათი საქმიანობით.

გამოცდილი ექთანი **გულიკო ბაკურაძე** მტკიცედ დგას პატარების ჯანმრთელობის სადარაჯოზე, ყოველ მათგანს დედასავით თავს ევლება.

გულთბილი, სამადლობელი სიტყვები არ უნდა დავიშუროთ იმ პედაგოგების მიმართ, რომლებიც მომავლის ხელოვანებს ზრდიან, მათ სულს უფაქიზებენ. ისინი მთელი ბაგა-ბაღის ცხოვრებას ახალისებენ. ამ სიტყვების ადრესატები არიან: მუსიკის პედაგოგი **სალომე ვაშალომიძე** და ცეკვის მასწავლებელი **სალომე ელბაქიძე**.

ახლა კი მეტად პოპულარული მუშაკები გავიცნოთ, მკითხველო. მათ მიერ დამზადებული მრავალფეროვანი, ყუათიანი, არომატული, ეკოლოგიურად ჯანსაღი კერძები ძალიან უყვართ ცეროდენებს, შინ დედის გაკეთებულს ურჩევნიათ. დიდი მადლობა გეოვნებიან, გამოცდილ მზარეულ **მარინე თოდრიას** და მის თანაშემწე **თინა მელაძეს**.

ასევე, ცეროდენებისთვის ბევრს ზრუნავენ და ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში თავიანთი საპატიო წვლილი შეაქვთ ტექპერსონალს: **ნუნუ გულბიანს, მაია საგანელიძეს, ნინო ცერცვაძეს, ლევან ხუციშვილს, რამაზ ჩხაიძეს, ლაშა გუგავას, ანა ჟღენტს, ნატა დათიაშვილს, თეონა შარაშიძეს**. ეს არ არის წვრილმანი. ერთი ბრძენკაცი ხომ ამბობდა: **მცირედისაგან შენდება დიდიო.** ზემოჩამოთვლილთა დამსახურებაა, რომ ბაგა-ბაღს ბაღნარადქცეული, ეგზოტიკური ეზო აქვს შიგნით და გარეთ ხომ ყველაფერი სუფთა და მომხიბლავია.

გიორგი ლეონიძის ოდნავშეცვლილი სტრიქონებით დაგლოცავთ მეგობრებო: **„შენ აყვავდი, ბაღო მეტად, მზე შენა და ვარდის ფენა, ბევრზე ბევრი შენ გაზარდე, ვინც ქვეყანა დაამშვენა!“**

ყველა ცეროდენის დედას, ბაღის თანამშრომელ ყველა დედას ვულოცავთ დედის დღეს და გაზაფხულის მობრძანებას!

ბორის ხარებავა

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 4 (4525)
24 თებერვალი, 2016 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009